განმარტებითი ბარათი

- პროექტი დამუშავებულია ქ. თბილისის უფლებრივი ზონირების ზოგადი რუკის, ასევე სამშენებლო მოედნის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევებისა და ტოპოგრაფიული ნახაზის საფუძველზე.
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ცენტრალური ისანი-სამგორის ტეროტორიაზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია №01.19.21.001.124
- საპროექტო ობიექტი ორი შენობისგან შედგება, რომლებიც პირობითად დანომრილია. №1 ადმინისტრაციული მართვის საოფისე შენობაა, მოშენების ფართით 98.010 მ². ორ სართულიანი და მსი სიმაღლეა 6.800მ. №2 სასაწყობე შენობაა, მოშენების ფართით 51.781მ². სიმაღლე არის 5.800 მ.
- **№1** – შენობაში პროექტით გათვალისწინებულია:

<u>±0.000 ნიშნულზე</u>

1. საოფისე ფართი 35.670 მ²,
2. დამხმარე ფართი (ჰოლი, დაცვის ოთახი, WC , ტამბური, კიბის უჯრედი და გამოსაცვლელი პერსონალისთვის) 53.570 მ².

<u>+3.000 ნიშნულზე</u>

1. საოფისე ფართი 59.400 მ²,
2. დამხმარე ფართი (WC, ტამბური, ჰოლი) 23.270 მ².

- **№2** - შენობაში პროექტით გათვალისწინებულია ±0.000 ნიშნულზე:

1. სასაწყობე ფართი 47.010 მ²,

- სამშენებლო მასალად გათვალისწინებულია პოლიურეთანის კედლისა და ჭერის სენდვიჩ პანელები და მისი შესაბამისი ლითონის კონსტრუქციები: ალუმინის შველერები, კუთხოვანები. თავად პოლიურეთანის სენდვიჩი წარმოადგენს ლითონის ფურცლებს შორის პოლიურეთანის ქაფით შევსებულ სამშენებლო პანელს. სენდვიჩის გარეკანი 0,55 მმ-იანი გოფრირებული, ორმაგად გალვანიზებული და შეღებილი (RAL 9002) თუნუქის ფურცლებია. ფურცლების შეღებვა ხდება სპეციალური ტექნოლოგიით გალვანიზების მეთოდით, რაც უზრუნველყოფს საღებავის მდგრადობას გარემო პირობებთან მიმართებაში. პოლიურეთანი 42/მ³ სიმკვრივისაა. სენდვიჩებს გააჩნია საკეტები, რომელიც დედალ-მამალი პრინციპითაა განლაგებული. მათი საშუალებით ხდება პანელების ერთმანეთზე მოქაჩვა, რაც უზრუნველყოფს შეერთების ადგილების მაქსიმალურ ჰერმეტიულობასა და თბოიზოლაციას.

კორექტირების შედეგად შეიცვალა

№1 შენობაში პროექტით გათვალისწინებული იყო 1-2 ღერძებში რკინაბეტონის კიბე და შეიცვალა ლითონის კიბით რამაც კონსტრუქციულად შენობაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. პროექტს თან ახლავს კონსთრუქტორის დასკვნა. წინა შასადზე 1-2 მონაკვეთში დაემატა კონდიციონერი. შენობას დამატებით 0.000 ნიშნულზე დაემატა ბეტონის ბაქანი სიგანით 80სმ სისქე 10 სმ. +3.000 ნიშნულზე შეიცვალა საჩრდილობელის კონსტრუქცია. უკანა შასადზე 4-3 ღერძებში მეორე სართულზე შეიცვალა ღიობის ზომები .ასევა 3-2 ღერძებში დამონტაჟდა 2 კონდიციონერი. ასევე ლითონის კონსტრუქცია რომელიც პროექტით გათვალისწინებული იყო შენობის შიგნით გამოვიდა შასადზე.დაემატა წყალ მიმღები მილები.

№2 შენობაში ლითონის კონსტრუქცია რომელიც პროექტით გათვალისწინებული იყო შენობის შიგნით გამოვიდა შასადზე.დაემატა წყალ მიმღები მილები. გაიზარდა შენობის კეხის სიმაღლე 20სმ-ით. გაზრდილია გადახურვის გარსშემო საპროექტო სისქე.

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

ნაკვეთის ფართი --- 42095.000 მ²,

№1 მოშენების ფართი --- 98.010 მ²,

საერთო სამშენებლო ფართი --- 196.020 მ²,

საერთო სამშენებლო მოცულობა --- 590.000 მ³.

ფართი შიდა კონტურზე --- 171.910 მ²,

სათავსოების ჯამური ფართი --- 171.910 მ²,

მათ შორის: კომერციული ფართი --- 95.070 მ²,

დამხმარე ფართი --- 76.840 მ².

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე --- 6.800 მ,

შენობის საპროექტო-ბეგმარებითი ნულოვანი ნიშნული შეესაბამება

ტოპოზე მოცემულ აბსოლიტურ ნიშნულს /432.20/.

№2 მოშენების ფართი --- 51.781 მ²,

საერთო სამშენებლო ფართი --- 51.781 მ²,

საერთო სამშენებლო მოცულობა --- 260.000 მ³.

ფართი შიდა კონტურზე --- 47.010 მ²,

სათავსოების ჯამური ფართი --- 47.010 მ²,

მათ შორის: კომერციული ფართი --- 47.010 მ²,

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე --- 5.800 მ,

შენობის საპროექტო-ბეგმარებითი ნულოვანი ნიშნული შეესაბამება

ტოპოზე მოცემულ აბსოლიტურ ნიშნულს /432.30/.